

სს სმარტექსი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
წლისათვის

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
სრული შემოსავლების ანგარიშგება
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები**

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლით დასრულებული წლისათვის
წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და
დამტკიცებაზე**

საწარმოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სს სმარტექსის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს)

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია

მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;

- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე
- საწარმოს მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია

კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე

1. ზოგადი ინფორმაცია

სს სმარტექსი რეგისტრირებულია 05.01.2009 წლიდან როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ხოლო 2012 წლის 20 დეკემბრიდან გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად .

იურიდიული მისამართი : ქ.თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზირი N74

ხელმძღვანელი: **თენგიზ ლაშვი**

კომპანიის ძირითად საქმიანობას წამოადგენს : საინვესტიციო საქმიანობა,

იურიდიული, ფინანსური , საკრედიტო, საკუთარი ან იჯარით აღებული უძრავი ქონების გაქირავება და მართვის სხვა საქმიანობები.

წინამდებარე

ფინანსური ანგარიშება მომზადებულია მსს ფასს სტანდარტით, კომპანია საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს

საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ფინანსური

ანგარიშება მომზადდა აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან და

საჭიროებისამებრ შესწორდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო მსს ფასს

სტანდარტებთან.

შვილობილ საწარმოებში მონაწილეობა:

2. საანგარიშგებო ვალუტა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ქართულ ლარში (GEL), თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული

კონსოლიდაციის საფუძვლები

კონსოლიდირებულია შვილობილი საწარმო, რომელიც წარმოადგენენ ისეთ კომპანიას, რომელშიც „ჯგუფს“ ნახევარზე მეტი ხმის უფლება აქვს ან სხვა მხრივ გააჩნია შესაძლებლობა მართოს მათი ფინანსური ან საოპერაციო პოლიტიკა ისე, რომ სარგებელი მიიღოს მათი საქმიანობიდან.

ჯგუფის მიერ სხვა საწარმოს კონტროლის შეფასების დროს გაითვალისწინება ხმის უფლების არსებობა და მისი მოსალოდნელი შედეგები.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდირება ხდება იმ თარიღიდან, როცა კონტროლი გადადის ჯგუფზე (შემდენის თარიღი) და დეკონსოლიდირდება მაშინ, როცა ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. როდესაც ხდება შვილობილი საწარმოს შეძენა, საწარმოთა გაერთიანებაში მონაწილე აქტივები, ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები შეფასებულია შეძენის თარიღისათვის შვილობილ საწარმოში მათი მიმდინარე ღირებულებით და არ გაითვალისწინება შვილობილ საწარმოში არაკონტროლირებადი წილი. ჯგუფის არაკონტროლირებადი წილი შვილობილ კომპანიაში განისაზღვრება შვილობილ კომპანიაში ჯგუფის კუთვნილი წმინდა აქტივების პროპორციულად.

გუდვილი შეფასებულია შეძენისას გადახდილი თანხის, არაკონტროლირებადი წილის და შეძენის წინ შეძენილ კომპანიაში ფლობილი წილის ღირებულებების ჯამიდან შეძენილი კომპანიის ნეტო აქტივების ღირებულების (რომელიც შეფასებულია შეძენილი კომპანიისათვის შეძენის თარიღში აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების საფუძველზე) გამოკლებით. ნებისმიერი უარყოფითი სხვაობა („უარყოფითი გუდვილი“) აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, მას შემდეგ, რაც მენეჯმენტი თავიდან შეაფასებს მიღებული აქტივების, აღიარებული ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების სისრულეს და გადაამოწმებს მათი შეფასების საიმედოობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ანალოგიური მუხლები დაჯამებულია ერთმანეთთან და შემდეგ შვილობილ კომპანიებში სათაო კომპანიის ინვესტიციის საბალანსო ღირებულება ელიმინირებულია შვილობილი კომპანიის კაპიტალში სათაო საწარმოს წილის საპირისპიროდ. სათაო კომპანიის ფინანსური ანგარიშგება იმავე მეთოდებით და იმავე პერიოდისთვისაა მომზადებული, როგორც შვილობილი კომპანიისა. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის დროს მსგავს ტრანზაქციებსა და სხვა მოვლენებთან მიმართებაში გამოყენებულია ერთგვაროვანი პოლიტიკა

3. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც იმყოფება კომპანიის მფლობელობაში და გამოიყენება მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გათვალისწინებულია ერთ-საანგარიშგებო პერიოდზე მეტი

ხნით გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია

აკუმულირებული ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება

მოიცავს ამ აქტივების შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. შეძენის შემდგომი დანახარჯები

ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება.

აქტივების მიმდინარე რემონტის (შეკეთების) და შენახვის დანახარჯები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში მათი გაწევის პერიოდის მიხედვით. ცვეთა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით, რომელიც გადანაწილებულია სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

სხვა აქტივები

კომპანიის სხვა აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდგომში

წარედგინება მორტიზირებული თანხით.

4.შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება

- შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით
- მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგებოი ბალანსის შედგენის თარიღისათვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად ,თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედოდ შეფასება .
- შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით

ხარჯების აღიარება

- ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით
- ხარჯების აღირიცხვის შინაარსი -ფუნქციური დანიშნულებით
- ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.
- საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

5. მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და სუფთა საერალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით.

6. გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობას. აღნიშნული კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება კომპანიის ტრანზაქციებისა და საქმიანობის აღრიცხვისა და მართვისათვის, შეიძლება ექვემდებარება დადგეს ან არასწორად იქნეს მიჩნეული საგადასახადო ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოების მიერ განსხვავებულად იქნას დარიცხული გადასახადები, რაც გამოიწვევს თავდაპირველად აღიარებული თანხების ცვლილებას

7. ფინანსური რისკები

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით.

ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს, რომ კონტრაქტორი დროულად ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

საბაზრო რისკი საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილებების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია ცვალებადპროცენტიანი სესხები, მიმდინარე პერიოდში მას არ გააჩნია საპროცენტო რისკი.

სავალუტო რისკი სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს.

ლიკვიდურობის რისკი ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას.

კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით. კომპანიას გააჩნია ფული და სხვა სახის მაღალი ლიკვიდურობის აქტივები, რომლებიც უზრუნველყოფს მიმდინარე ვალდებულებების დროულ გასტუმრებას.

ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია

8. ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

9. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში

10. საექვო ვალების რეზერვი. საწარმო კლიენტის გადახდისუნარიობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად ქმნის საექვო ვალების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისად ხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები და პირობითი ვალდებულებები

1 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების შესაძლებლობას. ამავე დროს, აღნიშნული კანონები განიცდის ხშირ ცვლილებას. კომპანიის მენეჯმენტის მიერ აღქმული კანონმდებლობის მოთხოვნების ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება კომპანიის საქმიანობაში,

შესაძლოა ექვექვემ დადგეს ან არასწორად იქნეს მიჩნეული რეგიონალური და ცენტრალური მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოებმა უფრო ხისტად დაიცვან კანონმდებლობის მოთხოვნის საკუთარი ინტერპრეტაცია. შედეგად, შესაძლებელია კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

2 სასამართლო დავები

საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია არ არის ჩართული რაიმე ისეთ სასამართლო დავაში რომლის შედეგსაც შესაძლოა არსებითი უარყოფითი ან დადებითი გავლენა ქონდეს კომპანიის აქტივების ან ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე ან რაც შესაძლოა მოითხოვდეს პირობითი ვალდებულებების ან რაიმე სახის ანარიცხების შექმნას ან ინფორმაციის გახსნას ფინანსურ ანგარიშგებაში.

3. ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდეგ ადგილი არ ჰქონია რაიმე ისეთ მოვლენას რასაც გავლენა ექნებოდა ამ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე ან რაც დამატებით ახსნა-განმარტებით შენიშვნებს მოითხოვდა.

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ჯულდ სახსრები დ მათ ეკვივალენტები	975276	3523013	5944959
სავაჭროდ სხვა მოთხოვნები	640	156778	384780
სხვა პირებზე ავანსებადდ სესხებადგაცემულ ჯულდ სახსრები	24667	160864	181419
მარგები	2613	2613	2613
მზ პროდუქცია	2613	2613	2613

სხვა	0	0	0
საინვესტიციოქონება	52407	1052428	1101335
სხვა მოგლევადანი აქტვები	4624635	14556046	11028476
ბიოლოგიური აქტვები	0	0	0
თვითღირებულების მოფლოთ	0	0	0
გადფსების მოფლოთ	0	0	0
გუფილო	394825	394825	394825
სხვა არმატროალოური აქტვები	9322	79691	41593
ძირითად საშუალებები	84554	195944	250537
ინვესტიციები სხვა საწარმოა წილობროვ			
ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადანი აქტვები	0	0	0
სულაქტვები	6168939	20122202	19330537
ვალბულებები			
საოგროვალბულება	0	0	0
სავაჭროვალბულებები	7259	1306554	924879
ანარცხები	0	0	0
ვალბულებები თანამშრომელა მიმართ	0	0	0
საგადსახადვალბულებები	75566	57470	41329
გამოფუწავებელ შემოსავალ	0	0	0
მოგლევადანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღბულ გრნტები	0	0	0
სხვა ვალბულებები	108	13425784	10567703
სულვალბულებები	82933	14789808	11533911



საკუთარი კაპიტალ

სააქციოკაპიტალ (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალ', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიოკაპიტალ')	355640	355640	355640
---	--------	--------	--------

საემისიოშემოსავალი	0	0	0
გამოსყიდულ საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელ მოგება / (დაგროვილ ზარალ)	-2465275	1867495	2616320
გადაფსების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალს სხვა კომპონენტები	0	0	0
სულშიშვლელ საწარმოს მფლობელობის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	-2109635	2223135	2971960
არმაკონტროლებელ წილ (კონტროლს არქონე ინვესტორთა ჯგუფი წილ)	8195641	3109259	4824666
სულსაკუთარი კაპიტალი	6086006	5332394	7796626
სულსაკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6168939	20122202	19330537
სულმოგლევადანი აქტუები	5680238	19451742	18643582
სულმოგლევადანი ვალდებულებები	0	0	0



საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები
ნეტომონაგები

31/12/2020	31/12/2019
4304496	5612148

საქონლის გაყიდვიდან	4304496	5612148
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-1637382	-2661132
საწყისი მარგები	0	0
მარგების შესყიდვა	0	0
გადმოწვევების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარგები	0	0
საერთომოგება	2667114	2951016
სხვა საოპერაციო შემოსავალ	0	0
დასაქმებული ანაზღაურება	0	0
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-69173	-84645
საპროცენტო შემოსავალ	335992	213507
საპროცენტო ხარჯი	0	0
ოჯარის ხარჯი	0	0
აღმინის ტრავიულ დ სხვა საოპერაციო ხარჯი	0	-3196194
სულ საოპერაციო ხარჯები	266819	-3067332
საოპერაციო მოგება	2933933	-116316

გაფასების (ხარჯი) / აღდგენა:

სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) /
აღდგენა

0 0

წმინდ შემოსულობა / (დნაკარგი) უზიარო ვალუტით
ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან
მიღებულ დივიდენდები

0 0

0 0

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)

0 0

მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადს ხარჯმდებ

განგრძობითი ოპერაციებიდან

2933933 -116316

მოგების გადასახადს ხარჯი

0 0

საანგარიშგებოპერიოდის მოგება / ზარალი

2933933 -116316

სხვა სრულ შემოსავალი / (ზარალი):

ძირითად საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური
აქტივების) გადაფასების რეზერვი

0 0

სხვა (მათ შორის წილ ეროვნული და მეკავშირე

საწარმოების ურავი ქონების გადაფასების რეზერვი და

დადენილ გადასახდელს პროგრამები)

0 0

სხვა სრულ შემოსავალი / (ზარალი), სულ

0 0

მთლიანი სრულ შემოსავალი / (ზარალი)

2933933 -116316

მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:

მშობელ საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნიებელ

მოგება (ზარალი)

-386340 -165250

არმაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნიებელ მოგება

(ზარალი)

3320273 48934

მოგება / (ზარალი)

2933933 -116316



მთლიანი სრულ შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:

მშობელ საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნიებელ

მთლიანი შემოსავალი

-386340 -165250

არმაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნიებელ მთლიანი

შემოსავალი

3320273 48934

მიღიანი სრულ შემოსავალ / (ზრდ)	2933933	-116316
საკუთარი კაპიტალ საანგარიშგებოპერიოდს დასაწყისში	5332394	7796626
ახალ აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალს გაზრდა', კოორდინაციის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალს გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრებზე (მათმორის დივიდენდი)	-5315077	-1541404
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელმოგებაში	0	0
კაპიტალს სხვა ცვლილებები	3134756	-806512
საკუთარი კაპიტალ საანგარიშგებოპერიოდს ბოლოს	6086006	5332394

ფულად სახსრების მოძრაობა

ფულად სახსრების მოძრაობა	31/12/2020	31/12/2019
საოპერაციოსაქმიანობიდან წარმოქმნილ (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებულ) წმინდ ფულად ნაკადები	0	0
საინვესტიციოსაქმიანობიდან წარმოქმნილ (საინვესტიციოსაქმიანობაში გამოყენებულ) წმინდ ფულად ნაკადები	0	0
საფინანსოსაქმიანობიდან წარმოქმნილ (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებულ) წმინდ ფულად ნაკადები	0	0
ფულად სახსრების შემოსვლ (გასვლ)	0	0
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულდსახსრებსა დ მათეკვივალენტებზე	-2547737	-2421946
ფულად სახსრები დ მათ ეკვივალენტები საანგარიშგებოპერიოდს დასაწყისში	3523013	5944959
ფულად სახსრები დ მათ ეკვივალენტები საანგარიშგებოპერიოდს ბოლოს	975276	3523013

